

## დღგ-ით დასაბეგრი ობიექტი 1102

### ფაქტობრივი გარემოებები

დღგ-ის გადამხდელი აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს. შემოწმებით დადგინდა, რომ შესრულებული სამუშაოებისათვის, გადასახადის გადამხდელმა შესაბამის დოკუმენტაციაში დაფიქსირებულზე მეტი რაოდენობის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა განახორციელა.

### შეფასება

ზედმეტად ჩამოწერილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, ჩამოწერის საგადასახადო პერიოდების მიხედვით, ჩაითვლება საბაზრო ღირებულებით მიწოდებად დღგ-ის და მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

### ღონისძიებები

დაზუსტდება შესაბამისი პერიოდების მიხედვით დამატებული ღირებულების გადასახადით დასაბეგრი ბრუნვები და საანგარიშო წლის მოგება.

გადასახადის გადამხდელს, დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების შემთხვევაში, დაეკისრება სსკ-ის 275-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა.